SBA

საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA

პროფესიული მომზადების პროგრამა

„საავტომობილო გადაზიდვების ციფრული ლოგისტიკა“

1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება: საავტომობილო გადაზიდვების ციფრული ლოგისტიკა
პროგრამის სახე: ■ პროფესიული მომზადება □ პროფესიული გადამზადება
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: □ 2 □ 3 ■ 4 □ 5
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 10
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 16
მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური 5 მაქსიმალური 15 ერთდროულად შესაძლებელია 4 ჯგუფის, 60 მსმენელის სწავლება
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: სრული ზოგადი განათლება
პროგრამის მიზნები: პროგრამის მიზანია მსმენელთათვის დასაქმებისათვის საჭირო ისეთი უნარების განვითარება, რომელთა გამოყენებითაც შეძლებენ საავტომობილო გადაზიდვების მარშრუტების დაგეგმვას, ხარჯთაღრიცხვების მომზადებასა და შესაბამისი დოკუმენტების წარმოებას, დარგის თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით. პროგრამის ფარგლებში, მსმენელები იმუშავებენ საავტომობილო გადაზიდვების ციფრულ პლატფორმაზე.
სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)კურსდამთავრებულს

შეუძლია:

1. საავტომობილო სატვირთო გადაზიდვების მარშრუტის დაგეგმვა
2. საავტომობილო სატვირთო გადაზიდვების მომზადება
3. საავტომობილო სატვირთო გადაზიდვების ხარჯების კალკულაცია
4. საავტომობილო სატვირთო გადაზიდვების დოკუმენტების შევსება
5. საავტომობილო გადაზიდვების მონიტორინგი

პროგრამის შემუშავების საფუძველი: სწავლის სფეროების კლასიფიკატორი - 041 ბიზნესი და ადმინისტრირება; 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება.

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამა განკუთვნილია იმ პირებისათვის, რომლებიც, სულ მცირე, ფლობენ სრულ ზოგად განათლებას და აქვთ სურვილი შეისწავლონ საავტომობილო გადაზიდვებთან დაკავშირებული პროცედურები.

პროგრამის მოცულობა 160 საათია, თეორიულ სწავლებას დაეთმობა 144 საათი, პრაქტიკულ სწავლებას - 10 საათი, შეფასებას - 6 საათი.

სწავლების განმავლობაში თეორიულ კომპონენტს მსმენელები გაივლიან აკადემიის A და B სასწავლო გარემოში. ასევე, თეორიული კომპონენტის სწავლება შესაძლებელია დისტანციურად, MS TEAMS-ის ელექტრონულ პლატფორმაზე, ხოლო პრაქტიკულ კომპონენტს გაივლიან აკადემიის პარტნიორ ორგანიზაციაში.

მსმენელთა განმავითარებელი შეფასებები ტარდება სწავლების პარალელურად, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტში.

განმსაზღვრელი შეფასება ტარდება მე-10 კვირას.

შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს და სერტიფიკატის დანართს.

2. პროგრამის შინაარსი

სასწავლო კვირა	თემატიკა	თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები	კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	სწავლების მეთოდი/ები	შეფასების მეთოდი/ები	სასწავლო გარემო
1.	**ტვირთის კლასიფიცირება** - ტვირთის კლასიფიცირება: მძიმე ტვირთი, მალფუჭებადი ტვირთი, საშიში ტვირთი, ცოცხალი ცხოველები,არაგაბარიტული ტვირთი; - მათი დატვირთვის და დამაგრების ხერხები; - შეფუთვის სახეები: ქვეში, ყუთი, ტომარა, ნაყარი, ცისტერნა, კასრი; - ტვირთების უნიტიზაცია და კონსოლიდირება - ტვირთის მარკირება. **ძირითადი საბაჟო პროცედურების დახასიათება** - ზოგადი საბაჟო პროცედურები; - სატვირთო ავტომობილით საზღვრის კვეთის პროცედურები; - ზოგადი დეკლარირების პრინციპები; - საბაჟო დოკუმენტები: აღრიცხვის მოწმობა, საბაჟო დეკლარაცია; - საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებები და მათი ტიპები: - წებვადი, ბაგირიანი, პლასტმასის, ქარხნული და მათი დადების წესები; - იდენტიფიკაციის საშუალებების მოხსნის დრო და ადგილი;	1, 2	16	**სწავლების მეთოდები აკადემიის ბაზაზე და დისტანციურად სწავლებისას:** - ინტერაქციული ლექცია - პრაქტიკული დავალება - დისკუსია	გამოკითხვა	A სასწავლო გარემო/ MS TEAMS-ის ელ. პლატფორმა

	- ტვირთის და ავტო სატრანსპორტო საშუალებების მიტანის ვადები.					
2.	**გადაზიდვის მარშრუტის დაგეგმვა** - ტრანსპორტირების ხერხებისა და ტრანსპორტირების სახის შერჩევის წესები; - მოძრავი შემადგენლობის მუშაობის ტექნიკური-საექსპლუატაციო მაჩვენებლები; - თანამედროვე ციფრულ/ელექტრონული საშუალებების გამოყენებით გადაზიდვის მარშრუტების შედგენა; - ოპტიმალური მარშრუტის შერჩევა; - მარშრუტის შესაბამისად გადაზიდვის სახეობის შერჩევა; - გადაზიდვაზე არსებულ შეზღუდვები; - გადაზიდვის საორიენტაციო ვადების განსაზღვრა.	1	16	**სწავლების მეთოდები აკადემიის ბაზაზე და დისტანციურად სწავლებისას:** - ინტერაქციული ლექცია - პრაქტიკული მეცადინეობა - სიმულაცია - ინსტრუქტაჟი	პრაქტიკული დავალება	B სასწავლო გარემო/ MS TEAMS-ის ელ. პლატფორმა
3.	**ოპტიმალური სატრანსპორტო საშუალების შერჩევა და გადაზიდვის შეთანხმების გაფორმება** - ბაზარზე გადამზიდავების მოძიების გზები. - ტვირთის გადაზიდვის განაცხადის შედგენა; - გადაზიდვის ხელშეკრულების შედგენა; - სატრანსპორტო საშუალების იჯარის ხელშეკრულებების შედგენა; - **INCOTERMS** – ის მიხედვით მიწოდების პირობის განსაზღვრა; - ოპტიმალურ სატრანსპორტო სახეობების	2	16	**სწავლების მეთოდები აკადემიის ბაზაზე და დისტანციურად სწავლებისას:** - ინტერაქციული ლექცია - პრაქტიკული მეცადინეობა - სიმულაცია - ინსტრუქტაჟი	პრაქტიკული დავალება	B სასწავლო გარემო/ MS TEAMS-ის ელ. პლატფორმა

	შერჩევა; - სატრანსპორტო საშუალების მახასიათებლების შერჩევა; - მარშრუტზე შესაძლო დაბრკოლებები; - კონტეინერის ტიპები; - ტვირთის კონტეინერებში განთავსების წესები;			- დემონსტრირებით სწავლება		
4.	**სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებები** - სატვირთო ავტოტრანსპორტის კლასიფიკაცია შემადგენლობის, ძარას ტიპის, ტვირთამწეობის, ღერძების რაოდენობის და მასზე დასაშვები დატვირთვის მიხედვით; - სატვირთო ავტოტრანსპორტის კლასები; - ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელებისადმი წაყენებული ტექნიკური მოთხოვნები; - უსაფრთხოების და ეკოლოგიის ნორმები; საერთაშორისო და ეროვნულისაავტომობილო ორგანიზაციები (ტირ, ირუ, გირკა, სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო, ტრასეკა).	2	16	**სწავლების მეთოდები აკადემიის ბაზაზე და დისტანციურად სწავლებისას:** - ინტერაქციული ლექცია - პრაქტიკული მეცადინეობა - სიმულაცია - ინსტრუქტაჟი - დემონსტრირებით სწავლება	გამოკითხვა	A სასწავლო გარემო/ MS TEAMS-ის ელ. პლატფორმა

5.	**გადაზიდვის ტარიფი და გადაზიდვის თვითღირებულების გამოთვლა** - გადაზიდვის ტარიფი და მისი კომპონენტები; - საერთაშორისო და ადგილობრივი გადაზიდვის ტარიფების ძირითადი კომპონენტები საავტომობილო ტრანსპორტისმიხედვით; - გადაზიდვის ღირებულების გამოთვლის წესები; - თვითღირებულება; - გადაზიდვის ღირებულების გაანგარიშების წესი და საბაზო განაკვეთები; - გადაზიდვის სერვისის ტარიფის ძირითადი კომპონენტები; - ტარიფის გაანგარიშება; - სატარიფო პოლიტიკა; - ზენორმატიული მოცდენის ტარიფები; - ზენორმატიული მოცდენის ტარიფების განსაზღვრის წესი; - ზენორმატიული მოცდენის საზღაურის დაანგარიშება; - ადგილობრივ მიმოსვლაში გადასაზიდი ტვირთის სატარიფო განაკვეთების გაანგარიშება; - ადგილობრივი და საერთაშორისო გადაზიდვების ტარიფების საბაზო განაკვეთების გაცნობა; - საერთაშორისო გადაზიდვებში ტრანზიტად	3	16	**სწავლების მეთოდები აკადემიის ბაზაზე და დისტანციურად სწავლებისას:** - ინტერაქციული ლექცია - პრაქტიკული მეცადინეობა - სიმულაცია - ინსტრუქტაჟი - დემონსტრირებით სწავლება	პრაქტიკული დავალება	A სასწავლო გარემო/ MS TEAMS-ის ელ. პლატფორმა

	გადასაზიდი ტვირთის სატარიფო განაკვეთების გაანგარიშება; - განსაკუთრებულ პირობებში, ადგილობრივ მიმოსვლაში ტვირთის ტრანსპორტირებისათვის საჭირო განაკვეთის გაანგარიშების წესის გაცნობა (უგაბარიტო ტვირთები)					

6.	**გადაზიდვის თვითღირებულების გამოთვლა და გადაზიდვის ანგარიშსწორების შემოწმება** - განსაკუთრებულ პირობებში,საერთაშორისო მიმოსვლაში ტვირთის ტრანსპორტირებისათვის საჭირო განაკვეთის გაანგარიშების წესის გაცნობა (უგაბარიტო ტვირთები); - განსაკუთრებულ პირობებში, ადგილობრივ მიმოსვლაში ტვირთის ტრანსპორტირებისას საჭირო განაკვეთის გაანგარიშების წესის გაცნობა (საშიში ტვირთები); - განსაკუთრებუ პირობებში,საერთაშორისო მიმოსვლაში ტვირთის ტრანსპორტირებისათვის საჭირო განაკვეთის გაანგარიშების წესის გაცნობა (საშიში ტვირთები); - ანგარიშსწორების დოკუმენტების: საგადახდო დავალება, ქვითარი, ინვოისის წაკითხვისა და შემოწმების წესები; - შესრულებული გადაზიდვის ანგარიშის შედგენისა და შემოწმების წესები	3	16	**სწავლების მეთოდები აკადემიის ბაზაზე და დისტანციურად სწავლებისას:** - ინტერაქციული ლექცია - პრაქტიკული მეცადინეობა - სიმულაცია - ინსტრუქტაჟი - დემონსტრირებით სწავლება	პრაქტიკული დავალება	A სასწავლო გარემო/ MS TEAMS-ს ელ. პლატფორმა
7.	**საავტომობილო გადაზიდვებისას თანმხლები დოკუმენტების გაცნობა** - ტვირთის თანმხლები დოკუმენტაცია: სერტიფიკატები, ნებართვები, ლიცენზიები; - სატრანსპორტო საშუალების თანმხლები	4	16	**სწავლების მეთოდები აკადემიის ბაზაზე და დისტანციურად სწავლებისას:**		

	დოკუმენტაცია საერთაშორისო გადაზიდვის დროს: ერთჯერადიგადაზიდვის ნებართვა, მრავალჯერადი გადაზიდვის ნებართვა, ფოტოსერტიფიკატი, ტექდათვალიერება, ტექპასპორტი; - სპეციფიკური ტვირთის გადაზიდვის დოკუმენტები: ადრ სერტიფიკატი, სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სერტიფიკატი, სანიტარიული სერტიფიკატი. - CMR კონვენცია, TIR კონვენცია;			- ინტერაქციული ლექცია - პრაქტიკული მეცადინეობა - სიმულაცია - ინსტრუქტაჟი - დემონსტრირებით სწავლება	გამოკითხვა	A სასწავლო გარემო/ MS TEAMS-ს ელ. პლატფორმა
8.	**საავტომობილო გადაზიდვების დოკუმენტების შევსება** - საერთაშორისო სატრანსპორტო ზედდებულის CMR-ის, საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვის დოკუმენტის TIR წიგნაკის შევსება; - შიდა გადაზიდვის ზედდებულის შევსება პორტალი RS.GE-ს გამოყენებით; -	4	16	**სწავლების მეთოდები აკადემიის ბაზაზე და დისტანციურად სწავლებისას:** - ინტერაქციული ლექცია - პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება	B სასწავლო გარემო/ MS TEAMS-ის ელ. პლატფორმა
9.	**საავტომობილო გადაზიდვების მონიტორინგი** - საავტომობილო ტრანსპორტის დაცლა-დატვირთვის წესები; - ტვირთისა და სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობის მოძიების თანამედროვე ტექნოლოგიები და	5	16	**სწავლების მეთოდები აკადემიის ბაზაზე და დისტანციურად სწავლებისას:** - ინტერაქციული ლექცია	პრაქტიკული დავალება	B სასწავლო გარემო/ MS TEAMS-ის

	ტექნიკური საშუალებები:ჯიპიეს ნავიგაცია, ინტერნეტ რესურსები (TRACKING); - ადგილმდებარეობის დადგენისათვის საჭირო თანამედროვე საშუალებები; - ტვირთის შეფერხების შემთხვევაში საჭირო პროცედურები: შეფერხების მიზეზის დადგენა, მისი აღმოფხვრის გზები; - დასვენების და მოძრაობის ნორმების დაცვით მძღოლის კონტროლი: დასვენების და მოძრაობის რეჟიმები, ტაქოგრაფი, მისი მუშაობის პრინციპი და დანიშნულება; - შრომის უსაფრთხოების ნორმები.			- პრაქტიკული მეცადინეობა		ელ. პლატფორმა
10.	- **ვიზიტი პრაქტიკის ობიექტზე:** სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება, გადაზიდვის განაცხადის დამუშავება, გადაზიდვის დოკუმენტების შევსება, გადაზიდვის მონიტორინგი.	1, 2, 4, 5	10	**სწავლების მეთოდები პრაქტიკის ობიექტზე სწავლებისას:** - სიმულაცია - ინსტრუქტაჟი - დემონსტრირებით სწავლება	პრაქტიკული დავალება დაკვრივებით	C - პრაქტიკის ობიექტი
	განმსაზღვრელი შეფასება	1, 2, 3, 4, 5	3	----	გამოკითხვა	A სასწავლო გარემო/ MS TEAMS-ს ელ. პლატფორმა
			3	----	პრაქტიკული დავალება	B სასწავლო გარემო/ MS TEAMS-ს ელ.პლატ ფორმა